მასწავლებლის მეგზური

საქართველოში iSLCollective-ის გამოყენება ფრანგული ენის სწავლებისას

მოამზადა მაკა ნადარეიშვილმა

შესავალი

ენის სწავლება ცოცხალი პროცესია, მასწავლებელი ხშირად ხვდება გამოწვევებს: ზოგჯერ მოსწავლეთა ინტერესები ისეთი მრავალფეროვანია, რთულია ერთ სახელმძღვანელოში მათი პოვნა. მასწავლებლებს კი სჭირდებათ მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც გაკვეთილს ცოცხალსა და მოტივაციურს გახდის.

iSLCollective წარმოადგენს საერთაშორისო პლატფორმას, სადაც მასწავლებლები აზიარებენ სამუშაო ფურცლებს, პორტალზე ატვირთულ ვიდეოსთან დაკავშირებულ აქტივობებს და სხვა ინტერაქტიურ რესურსებს. რესურსები უფასოა და ადვილად ადაპტირდება ნებისმიერი ქვეყნისა და კლასის საჭიროებებზე.

რატომ არის ეს პლატფორმა საინტერესო ?

- **მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება** – საქართველოში მოზარდები ხშირად ინტერესდებიან თანამედროვე მუსიკით, სპორტით, ტექნოლოგიებით. iSLCollective-ზე არსებული ვიდეოები ამ თემებსაც მოიცავს, რაც მათ დაინტერესებას ზრდის.
- **გაკვეთილის გამრავალფეროვნება** – ერთსა და იმავე თემას სხვადასხვა ფორმატით შეიძლება მივუდგეთ: ვიზუალური, მოსმენითი, წაკითხვის დავალებებით.
- **მასწავლებელთა პროფესიული განვითარება** – რესურსების გაზიარება და სხვა მასწავლებელთა ნამუშევრების ნახვა იძლევა კოლაბორაციისა და ინსპირაციის შესაძლებლობას.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება: პირველი ნაბიჯი

გაკვეთილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მასწავლებლის მიზანი, არამედ მოსწავლის სურვილიც.

☞ გაკვეთილის დასაწყისში შეიძლება დავსვათ მარტივი კითხვები:

- რომელი ფილმი გიყვარს ?
- რომელია შენი საყვარელი ანიმაციური ფილმი?
- რომელი ფრანგი მომღერალი ან სპორტსმენი გახსენდება?

ამის შემდეგ შესაძლებელია, youtube-ზე სასურველი, მოსწავლეთა ინტერესისა და მიზნის შესაბამისი ვიდეოს ნახვა.

რესურსის დამუშავება

სამიზნე ჯგუფის (ენობრივი დონის) შერჩევა - ავირჩიოთ დამწყები დონე A1მ 10-11 წლის მოსწავლეები.

ნაბიჯი 1 – ვიდეოს შერჩევა

მაგალითად, ავიღოთ მოკლე ანიმაციური ვიდეო ფრანგულ ენაზე.

ნაბიჯი 2 – მარტივი ვიზუალური კითხვები



- რამდენი პერსონაჟია?
- რა ფერია მთავარი გმირის მაისური?
- სად არიან ისინი?

☞ ეს ეტაპი ააქტიურებს მოსწავლეებს და ამზადებს მოსმენით გაგებისთვის.

ნაბიჯი 3 – მოსმენითი შეკითხვები (მიზნიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსმენა / გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვები)

- რას ამბობს მთავარი პერსონაჟი დასაწყისში?
- რა პრობლემას განიხილავენ?
- რომელი სიტყვა გაიგე ყველაზე მკაფიოდ?

ნაბიჯი 4 – ტექსტთან დაკავშირებული დავალება (მიზნიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დეტალური მოსმენა / გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვები)

- სიტყვების შევსება დიალოგში;
- გამოსახულებებისა და ფრაზების დამთხვევა;
- მოკლე დიალოგის გამეორება წყვილებში.

ნაბიჯი 5 – რეფლექსია (ეს შესაძლებელია თვითონ ვიდეოზე არ იყოს მსგავსი შეკითხვა დასმული, არამედ კლასში, სადისკუსიო ფორმატით)

მოსწავლეებს ვეკითხებით:

- რა მოგეწონა ვიდეოში?
- გსურთ მსგავსი თემით სხვა რესურსის ნახვა?

რესურსის ატვირთვა iSLCollective-ზე

თუ თავად მასწავლებელმა მოამზადა რესურსი (მაგ., კითხვები, სამუშაო ფურცლები კონკრეტულ ვიდეოზე), შესაძლებელია მისი ატვირთვა პლატფორმაზე. ატვირთვისას საჭიროა:

- **პედაგოგიური მიზნის მკაფიო აღწერა** – რა უნარებს ავითარებს ეს რესურსი?
    - მოსმენის გაგება?
    - სიტყვების გამდიდრება?
    - საუბრის უნარი?
- **საგაკვეთილო კონტექსტის მითითება** – რომელ დონეზეა მიზნობრივი (A1, A2, B1)?
- **ინტერაქტიური ღირებულების ხაზგასმა** – რატომ არის ეს რესურსი სასარგებლო მოსწავლეებისთვის?

---

6. მაგალითი (ჩემი რესურსიდან)

თემა: My Littel Poney - **la maison des licornes**

დონე: A1

ვიდეო: მოკლე ანიმაცია (10-11 წლის მოსწავლეების საყვარელი ანიმაცია)

აქტივობები:

1. **ვიზუალური შეკითხვა:** რამდენი პერსონაჟია ეკრანზე (3 პასუხიდან ამოირჩიონ სწორი)?
2. **ვიზუალური შეკითხვა:** სად ვითარდება მოქმედება (3 პასუხიდან ამოირჩიონ სწორი)?
3. **მოსმენა:** რას მიირთმევენ პერსონაჟები (3 პასუხიდან ამოირჩიონ სწორი)?
4. **და ა.**შ.

პედაგოგიური მიზანი (ატვირთვისას საიტზე):

- მოსმენითი უნარების განვითარება,
- მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება,
- ფრანგული ლექსიკის გამდიდრება თემაზე „თავისუფალი დრო“.

My Little Pony - la maison des licor…: Français FLE leçons vidéo